

I სექტემბერი

2009

სამშაბათი

I თეს. 5, I-6.9-II ფს. 26; ლუკ. 4, 31-37

II მ

შეაგონეთ ერთმანეთს. (I თეს. 5, II)

მოციქული იცნობს
თავისი ქრისტიანების მდგომარეობას.
ისინი მათი რწმენისთვის სიუათით
აღსავსე სამყაროში ცხოვრობენ.
თუკი რწმენას საფრთხეს არ ავარდებთ,
ის ყოველგვარ სინარულსა
და სიმშვიდეს დაგვაკარგვინებს.
ერთმანეთს ნუგემისმომგვრელი სულით —
სულიწმიდით მდიდარი სიტყვებით
უნდა დახვედართ!

2 სექტემბერი

2009 ოთხშაბათი

კოლ. I, 1-8; ფს. 51; ლუკ. 4, 38-44

II მ

სალხმა მოძებნა ის. (ლუკ. 4, 42)

მათ ნახეს სნეულთა მიმართ
შენი სიყვარული, მისი ნაყოფი იგემეს:

ამიტომაც გეძებდნენ ყველანი.

გეძებდნენ, რათა კვლავ მიეღოთ

შენგან სიყვარული,

რომელიც აჯანსაღებს ადამიანს

და სიცოცხლის სისავსეს აძლევს მას.

მაგრამ შენც ეძებ:

მამა ღვთისადმი მოზრჩილი, შენ ეძებ მათ,

ვინც თავის სიყვარულს გიძღვნის,

ვინც მზადაა, მიატოვოს თავისი ოცნებები

და შენთან ერთად იაროს!

3 სექტემბერი

წმ. გზიოგოლ დიდი (მ)

2009

სუთშაბათი

კოლ. I, 9-14; ფს. 97; ლუკ. 5, 1-11

II თ

ყველაფერი მიატოვეს
და გაჰყვნენ მას. (ლუკ. 5, 11)

იესო, შენ მიმღევარი იპოვე!

ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ამბავია!

ბოცა ახალგაზრდა შენთან ყოფნას ირჩევს,

სამყაროს კვლავ შეუძლია, იქონიოს იმედი,

იოცნებოს, თავი უსაფრთხოდ იგზმნოს.

დღეს იმ ახალგაზრდებს გავედრებ,

ვისაც სურვილი აქვს, გამოგყვეს,

მაგრამ სურვილი ჯერ კიდევ ნებად

უნდა გარდაქმნას!

4 სექტემბერი

2009

პარასკევი

კოლ. I, 15-20; ფს. 99; ლუკ. 5, 33-39

II მ

ქრისტე – უნილავი ღვთის სატება.

(კოლ. I, 15)

ღმერთმა თავის სალხს

მის სატებათა შექმნა აუკრძალა.

ადამიანს არ ძალუძს წარმოიდგინოს ღვთის

სახე და თუ ამის გაკეთებას ცდილობს,

როგორც სატება, ისე მისგან მომავალი

აზრები მცდარია.

ღმერთმა თავად მოგვცა თავისი სატება:

ესაა იესოს სახე, სიყვარულით აღსავსე

მისი მხერა, მისი სელი, მუდამ მზადმყოფი,

შეეშველოს ბოროტებისა და ცოდვისგან

დაძაბუნებულ ადამიანს.

5 სექტემბერი

ნეტარი დედა ტერეზა კალკუტელი
(მოწყალების დები კონგრ. დამაარსებელი) (ნ.მ)

2009

შაბათი

კოლ. I, 21-23; ფს. 53; ლუკ. 6, 1-5

II მ

იესოს ყანებზე გადავლა მოუხდა
(ლუკ. 6, 1)

იესო მოწაფეებთან ერთად გზას მიუყვება.
მას უყვარს ისინი.

მათი შიმშილი მისთვის ისევე წმიდაა, როგორც დღე, რომელსაც ისინი მასთან ერთად ატარებენ. წმიდაა მათი ხელები, გამუნადებული მისი, ღვთის წმიდას, მსახურებისთვის.

იესოს არ უძნელდება მწიგნობართა კრიტიკისაგან მოწაფეთა დაცვა.

ვისაც შენ უყვარხარ, იესო,

მან უკვე დაიწვა შაბათი,

შენი მოლოდინისთვის განკუთვნილი დღე!

6

სექტემბერი

რიგითი წამის XXIII კვარაღლე

2009

კვირა

ეს. 35, 4-7; ფს. 145; იაკობ. 2, 1-5; მარკ. 7, 31-37 III მ

ყრუებს ასმენინებს და მუნჯებს
ალაპარაკებს. (მარკ. 7, 37)

იესო, შენი თითებით ადამიანის ცხოვრება
შეავსე. ყრუმ შენი სიტყვა გაიგონა.
შენმა სიტყვამ პირველმა შეაღწია
მის ყურებსა და გულში.
მისი პირველი ფრაზები
შენდამია მომართული!

სწორედ ასეა: ადამიანი ჭეშმარიტი ადამიანია,
როცა ძალუძს შენი ხმის მოსმენა
და შენდამი სიყვარულით მომართვა!

7 სექტემბერი

2009

ორშაბათი

კოლ. I, 24-2, 3; ფს. 61; ლუკ. 6, 6-II

III მ

გაიწოდე შენი ხელი. (ლუკ. 6, 10)

გამხმარი ხელით ადამიანს
არ შეუძლია მუშაობა, მოფერება, ჭამა.
მას ამ ხელის არც ვინმესთვის გაწვდენა
შეუძლია, არც დასახმარებლად,
არც დახმარების სათხოვნელად.

ამ ადამიანისადმი თავის სიყვარულს იესო
შაბათ დღეს ამყვანებს, დღეს, როცა ღმერთი
თავის მიერ შექმნილი სამყაროთი ტკბება.
ახლა ღმერთს შეუძლია, იხაროს, რამეთუ მისი
ძე თანამშრომლობს მასთან ადამიანისადმი
სიყვარულის გამოხატვით!

8 სექტემბერი

შობა უწყმიდეს
მარიამ ღვთისმშობლისა (ღ)

2009

სამშაბათი

მიკ. 5, 1-4 (ან: ზომ. 8, 28-30); ფს. 86;

მათ. 1, 1-16.18-23

ს თ

ვალეს ეკლესიის დღესასწაული

დაარქმევ მას სახელად იესოს. (მათ. 1, 21)

ზაოდენ დიდი სიყვარულით
წარმოთქვამდა მარიამი ამ სახელს!
ის ამისთვის დაიბადა, რათა ეთქვა: „იესო!“
ის დაიბადა, რათა პირველს წარმოეთქვა
ეს სახელი და ამგვარად ქცეულიყო
მაუწყებლად სსნისა, რომელსაც
ადამიანები ყოველდღიურად ელიან.
მეც ყოველდღე ვიძეოთრებ,
მარიამის დახმარებით:
იესო! იესო! ჩემო იესო!

9 სექტემბერი

2009

ოთხშაბათი

კოლ. 3, I-II; ფს. 144; ლუკ. 6, 20-26

III მ

ნეტარნი ხართ, ვინც ახლა ტირით.

(ლუკ. 6, 21)

შენი ამ სიტყვის მოსმენით ვისწავლე, იესო,
შენთვის მადლობის თქმა მწუხარებისა
და განჯვის დროსაც. ჩემი სატანჯავი
შენს სიახლოვეს მამყოფებს,
ჩემს თანამოძმეთა განჯვისადმი
მგრძნობიარეს მხდის,
მაჩვევს, მივენდო
მამა ღმერთის სიბრძნეს.

ჩემს ცრემლს შენ გიძღვნი და გეუბნები:
გმადლობ, შენ იცი ყოველივეს მიზეზი!

IO^ს ექტემბერი

2009

სუთშაბათი

კოლ. 3, 12-17; ფს. 150; ლუკ. 6, 27-38

III მ

ქრისტემ მოგიტევათ, ასევე
თქვენც. (კოლ. 3, 13)

ამ დღით ერთმა ძმამ პატიება მოხოვა.
მას უმაღლ მივუგე: „გაპატიე, იესოს სახელით“.
ზოდესაც იესოს ვთხოვ პატიებას, ის მუდამ შე-
მინდობს თავისი ძღველმსახურის მეშვეობით:
ზატომ არ შემიძლია იგივეს გაკეთება მეც?
შესანიშნავია, იმის გაკეთება შეგეძლოს,
ზასაც იესო აკეთებს:
პატიება და ამგვარად სინარულისა
და სიმშვიდის მოგვრა!

II სექტემბერი

2009

პარასკევი

I ტიმ. I, I-2. I2-I4; ფს. I5; ლუკ. 6, 39-42 III მ

მოწაფე მასწავლებელზე

მეტი არ არის. (ლუკ. 6, 40)

უფალო იესო, მე შენ ვერაფერს გასწავლი:

მასწავლებელი და მოძღვარი შენ ხარ,

შენ იცნობ გზას,

რომელსაც მამა ღმერთთან მივყავართ,

შენ იცნობ ჩემს საზღვრებსა

და შესაძლებლობებს.

ჰოდა, მსურს,

ყველაფერი ვისწავლო შენგან, ვინც

ხარ ერთადერთი უტყუარი გზამკვლევი,

ერთადერთი, ვინც გზას ხედავს!

I 2 სექტემბერი

მარიამის უწმინდესი სახელი (ნ.მ)

2009

შაბათი

I ტიმ. I, 15-17; ფს. 112; ლუკ. 6, 43-49

III მ

გულის სისავსისგან
მეტყველებს პირი. (ლუკ. 6, 45)

ყურადღებით იმას უნდა დავუკვირდე, რასაც
ვლაპარაკობ თუ იმას, გულში რაც მიდევს?
სწორედ გულს ძალუმს ისეთი სიტყვების პო-
ვნა, რომელთა მეშვეობითაც შენდამი
სიყვარული გამოინატება, მამაო.
სწორედ გული ანიჭებს სიტყვებს სიმშვიდისა
და გულმოწყალების გამოხატულებას,
ისეთს, შენსას რომ ასახავს!
გულში მოვითავსებ შენს ძეს, იესოს
და დედამისის, მარიამისადმი მის სიყვარულს!

13 სექტემბერი

ბიეთი უამის XXIV კვირადღე

2009

კვირა

ეს. 50, 5-9; ფს. 114; იაკობ. 2, 14-18; მარკ. 8, 27-35 IV მ

თქვენ რაღას იტყვით, ვინ ვარ მე?

(მარკ. 8, 29)

იესო დარწმუნებული არ იყო,
რომ მოწაფეები იცნობდნენ მას.

მათ იცოდნენ, თუ ვინ იყო ის
და ამის თქმა შეეძლოთ,

მაგრამ ჯერ არ ძალუძდათ

მამა ღმერთისადმი ისოსეული
მოწილებების გაზიარება.

მეც ასე ვარ. ჯერაც ყოველდღიურად

უნდა გავცე პასუხი ამ შეკითხვას

და ყოველ ჯერზე უნდა დაფიქრდე

და ჯვრის მიღების გადაწყვეტილება მივიღო.

I 4^ს ექტემბერი

ჯვართამაღლება (დ)

2009

ორშაბათი

ზიკს. 2I, 4-9; ფს. 77; ფილ. 2, 6-11; იოან. 3, 13-17 სწ
უნწის საკრებულოს დღესასწაული.

იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი,
რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე.
(იოან. 3, 16)

გუშინ ერთმა გოგომ მკითხა, თუ რატომ
გვაქვს აზრეული ჩვენ, ქრისტიანებს,
სიმბოლოდ ჯვარი. მას უცნაურად
ეჩვენებოდა, რომ მუდამ თან ვატარებთ
ტანჯვის სიმბოლოს. მას ვუთხარი,
რომ, ჯვარზე იესოს სიკვდილის წუთი
მისი უდიდესი სიყვარულის ქამია.
ჯვარს მხოლოდ ამისთვის ვუმზერთ:
მისგან ვიღებთ ძალას, გვიყვარდეს,
მაშინაც, როცა რთულია, გიყვარდეს.

15^ს ექტემბერი

უწმიდესი მარიამ ღვთისმშობელი
პელოგიაზე (მ)

2009

სამშაბათი

ებრ. 5, 7-9; ფს. 30; იოან. 19, 25-27 (ან: ლუკ. 2, 33-35) ს ო

აწალში ფარენას სამლოცველოს დღესასწაული

ქალო, აჰა, შენი ძე. (იოან. 19, 26)

თავისი ძწუნარების ჟამს მარიამი აწალ
მისიას იღებს, რომელიც კვლავაც მოითხოვს
მის ძალისხმევას. იესოს საყვარელი მოწაფე

მარიამის შვილად იქცევა. დღეს ვწედავ

იესოსადმი მარიამის სიყვარულს,

სიყვარულს, რომელიც ავალდებულებს მას,

მეც თავის შვილად ჩამთვალოს.

გმადლობ, მარიამ, რომ დაემორჩილე იესოს

და აიღე ვალდებულება, იცნოვრო

შენი ძის მოწაფესთან,

მის ყოველ მოწაფესთან ერთად!

I 6^{სექტემბერი}

წმ. კორნელი პაპი და წმ. კვიპრიანე
ეპისკოპოსი და წამებული (მ)

2009

ოთხშაბათი

I ტიმ. 3, 14-16; ფს. 110; ლუკ. 7, 31-35 IV წ
მამა მ. თამარაშვილის მოხსენიება († 1911)

იცოდე, როგორ მოიქცე ღვთის
სახლში. (I ტიმ. 3, 15)

„იცოდე, როგორ მოიქცე ღვთის სახლში,
რომელიც არის ცოცხალი ღვთის ეკლესია,
ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი“. არ
შეიძლება ისე ვიცხოვროთ, როგორც მოგვე-
სურვება. წმ. პავლე აცნობიერებს, რომ ქრი-
სტიანის ქცევა მნიშვნელოვანია: მან შეიძლე-
ბა კარგად ან ცუდად წარმოაჩინოს იესო,
შეიძლება ააშენოს ან დააქციოს მისი ეკლესია.
რჩევას ვითხოვ, დანმარებას მოვიშველიებ,
ჩემს იმპულსებს არ აყევები!

I 7^ს ექტემბერი

2009

სუთშაბათი

I ტიმ. 4, 12-16; ფს. 110; ლუკ. 7, 36-50 IV მ

მოზწმუნეთათვის მაგალითი იყავი
სიტყვაში. (I ტიმ. 4, 12)

და აგრძელებს: ქცევით,
გულმოწყალებით, ზწმენით, სიწმიდით!
მოციქულის მოწაფე ღვთის სასუფევლის
შენებაზე უნდა ფიქრობდეს და ამიტომაც
ის ყურადღებით უკვირდება თავის სიტყვებსა
და საქმეებს, მთელ თავის ცხოვრებას.
ესოსადმი ყოველი ჩემი დამოწმობა
ჩემს ძმათათვის ნიჭი, დახმარება,
სტიმულია!

I 8^ს ექტემბერი

2009

პარასკევი

I ტიმ. 6, 2-12; ფს. 48; ლუკ. 8, 1-3

IV მ

ყოველგვარი ბოროტების ფესვი
ვერცხლის მოყვარეობაა. (I ტიმ. 6, 10)

ჯერ კიდევ პატარაობისას ვისწავლეთ
ფულის დაფასება. ხშირად მისი ფასი
ეგოისტურად გავიგეთ, ჩვენი პირადი
სიამოვნებისთვის მის დასახარჯად.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც
მას უანგარო სიყვარულის სამსახურში
აყენებენ, იმისათვის, რათა ჩვენი ცხოვრება
ნიჭად იქცეს, თანაზიარება „შვას“.

ამგვარად ფული თავისუფლდება მონობისგან,
რომელშიც ის ცოდვამ მოაქცია.

I 9^ს ექტემბერი

2009

შაბათი

I ტიმ. 6, 13-16; ფს. 99; ლუკ. 8, 4-15

IV მ

გამოვიდა მთესველი თავისი თეს-
ლის დასათესად. (ლუკ. 8, 5)

იესო, შენი იგავები შენი უფრო ღრმად
შეცნობის შესაძლებლობას გვაძლევს.
შენ ხარ მთესველი, რომელიც შესაძლოა,
გაწეული შრომით იმედგაცრუებული დარჩეს,
თუმცა შენ ხარობ იმ შრომით, რომელსაც
მზავალთა ხსნისთვის მოაქვს ნაყოფი.
მოდით დღეს და დარჩი ჩემთან, დაფარული,
როგორც მარცვალი მიწის წიაღში.
შენ ნაყოფს გამოიღებ
და მე უსარგებლო არ ვიქნები!

20^ს სექტემბერი

ზიგითი წამის XXV კვირადღე

2009

კვირა

სიბზძ. 2, 12.17-20; ფს. 53; იაკობ. 3, 16-4, 3;
მატკ. 9, 30-37

I მ

თუ ვინმეს უნდა პირველი იყოს, ის
იქნება ყველაზე უკანასკნელი. (მატკ. 9, 35)

ამ სიტყვებით მოულო ბოლო იესომ
თავის მოწაფეთა კამათს,
ვინც ჩვენს მსგავსად,
სიღიადეს ესწრაფვოდნენ.
ჩვენ გვსურს, ადამიანებმა
ღიადებად ჩაგვთვალონ,
იესოს კი სურს,
ღმერთმა — ყველას მამამ,
მიგვიჩნიოს ასეთებად!

21 სექტემბერი

წმ.მათე, მოციქული და მანრობელი (დ)

2009

ორშაბათი

ეფეს. 4, I-7.II-13; ფს. 18; მათ. 9, 9-13 ს წ

უთხრა მას: „გამოყევი.“ (მათ. 9, 9)

ეს ყველაზე მშვენიერი სიტყვაა,
რომლის გაგონებაც მათეს შეეძლო,
სიტყვა, რომლისთვისაც ის მარად
მადლობელი იქნება იესოსი!
ზა არის იმაზე მშვენიერი,
ვიდრე იესოს კვალად სიარული?
მასთან ერთად მავალნი დარწმუნებულნი ვართ,
რომ ღმრის არ ვკარგავთ,
რომ საჭირონი ვართ მთელი სამყაროსთვის.
მასთან ერთად მთელ ცხოვრებას აქვს
ღირებულება და მნიშვნელობა,
მთელ ცხოვრებას, წარსულსაც კი,
ცოდვით შებღალულ წარსულსაც!

22 სექტემბერი

2009

სამშაბათი

ეზრ. 6, 7-8. 12. 14-20; ფს. 121; ლუკ. 8, 19-21

1 მ

მივიდნენ მასთან მისი დედა
და ძმები. (ლუკ. 8, 19)

მშენებელია და სასინარულო იმის სიღვა,
რომ შენი ოჯახის წევრებიც
შენთან მოდიან, იესო!
ჩვენ გვშურს მათი,
ზადგანაც შენთან ახლოს არიან.
მაგრამ შენ გასაქანს არ აძლევ ჩვენს შურს:
ვინც შენ გისმენს და გემორჩილება,
ნათესავებზე უფრო მეტს ნიშნავს.

23 სექტემბერი

წმ.პიო პეტრელჩინიდან (მ)

2009

ოთხშაბათი

ეზრ. 9, 5-9; საგ. ტობ. 13, 2-5.9-10; ლუკ. 9, 1-6 I ო

მოუხმო თორმეტს. (ლუკ. 9, 1)

იესომ მრავალჯერ მოუხმო თავისთან
თორმეტს, მოუხმო მათ,

რათა ესწავლებინა მათთვის,

რათა მის სიანლოვეს ყოფილიყვნენ,

რათა სამყაროს გავლენისადმი

დაბირისპირება შეძლებოდათ.

მოუხმო, რათა წარგეზავნა ისინი

თავისი სიტყვისა და შეცნობის საბოძებლად

მათთვის, ვისაც გადარჩენა სურდა.

ვცდილობ, მეც შენთან ახლოს ვიყო,

ჩემო იესო!

24^{სექტემბერი}

2009

სუთშაბათი

ანგ. I, 1-8; ფს. 149; ლუკ. 9, 7-9

I მ

დაუკვირდით თქვენს საქციელს.

(ანგ. I, 5)

ღმერთს სურს, ხალხი იმაზე დააფიქროს,
თუ რატომ არ მოაქვს ნაყოფი მათ შრომას.

„ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტას იმკით...

განვრეტილი ქისისთვის იღებს
მშრომელი შრომის საზღაურს“:

ადამიანის შრომას აზრი არა აქვს,

თუ ის ღმერთს არ ემორჩილება,

არ აღნიშნავს მის დღესასწაულებს,

ავიწყდება მისი ქება და ღიდება.

25^ს ექტემბერი

2009

პარასკევი

ანგ. I, 15-2,9; ფს. 42; ლუკ. 9, 18-22

I მ

რას ამბობს ხალხი, ვინა ვარ მე?

(ლუკ. 9, 18)

იესო ამ შეკითხვით მოწაფეებს მიმართავს, სავარაუდოდ იმისათვის, რათა გააცნობიერონ, რომ არ არის მნიშვნელოვანი ის, რასაც ხალხი ამბობს.

მართლაც, აღამიანთა სწავლასხვა მოსაზრებები გაუზრუნველია, ისინი გვაშორებენ ჭეშმარიტებას, შეცდომაში შევყავართ. თავად მათ, მოწაფეებმა, უნდა გააცნონ ხალხს იესოს ჭეშმარიტი არსი.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მოწაფეებს იესოსთან შინაგან სიანგლოვის განცდა ჰქონდეთ!

26 სექტემბერი

წმ. დიდმოწამე ქეთევანი,
კახეთის დედოფალი († 1624წ.) (მ)

2009

შაბათი

ზაქ. 2, 5-9.14-15; საგ. იერემ. 31, 10-12.13;

ლუკ. 9, 43-45

I წ

ნეტარი ლუიჯი ტეცა; წმ.კამილოს დების კონგრეგა-
ციის დამაარსებელი.

ძე კაცისა გადაეცემა კაცთა სელში.

(ლუკ. 9, 44)

ეს სიტყვები კარგად უნდა ჩაიბეჭდოს მოწაფეთა გონებაში. იესო მოწაფეებს წარუდგენს მათ, როგორც ძვირფას განძს. იესო „გადაეცემა“ ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ მისი მოკვლა ძალუძთ.

ადამიანები არასოდეს იძლევიან სიცოცხლეს: ის მხოლოდ მამა ღმერთისგან მოდის. იესო ამ „გადაეცემას“ აღიქვამს არა როგორც უბედურებას, არამედ როგორც შესაძლებლობას, თავი მიუძღვნას, რათა აღასრულოს უდიდესი სიყვარულის აქტი და გამოამყლავნოს თავისი ჭეშმარიტი ღმერთაებრიობა!

27^ს ექტემბერი

ზიგითი უამის XXVI კვირადღე

2009

კვირა

ზიგს. II, 25-29; ფს. I8; იაკ. 5, 1-6;

მაზკ. 9, 38-43 45.47-48

II მ

ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის,
ის ჩვენთან არის. (მაზკ. 9, 40)

იესოს დღევანდელი, სამარიაში ნათქვამი სიტყვები გვესმარება, კეთილგანწყობით მოვეპყრათ ყველას. მართლაც, ბევრი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არაა მზად, გაჰყვეს იესოს, მაინც სულიწმიდის მიერ იმართება და გაუცნობიერებლად შეაქვს წვლილი მის სასუფეველში!

მოწაფემ დიდი ყურადღება და სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს საკუთარი თავის მიმართ, რათა არ დააბრკოლოს არავის მცირე ნაბიჯები ზწმენის გზაზე.

28^ს ექტემბერი

2009

ორშაბათი

ზაქ. 8, 1-8; ფს. 101; ლუკ. 9, 46-50

II თ

ვინც თქვენს შორის უმცირესია,
ის არის დიდი. (ლუკ. 9, 48)

ღმერთი ნამდვილად ჩვენგან
განსხვავებულად ფიქრობს და ხედავს!
ზაოდენ უსარგებლო, მეტიც,
მაუნებელია ჩვენი ამაოება!
იმისათვის, რომ ღმერთს მოვეწონოთ
და მის თვალში შევიძინოთ სიღიადე,
აღამიანთათვის პატარებად უნდა ვიქცეთ.
იესოს ეს სიტყვა დიდად გვამშვიდებს!

29 სექტემბერი

წმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფიელ
მთავარანგელოსნი (ღ)

2009

სამშაბათი

ღან. 7, 9-10.13-14; ფს. 137; იოან. I, 47-51 სთ

საიდან მიცნობ? (იოან. I, 48)

ნათანაელს უკვირს,
რომ იესო უკვე იცნობს მას.
ამგვარად იესო თავს აცნობს მას
და გვეცნობა ჩვენ.

იგი ისაა, ვინც კიბედ ეხილება ანგელოზებს,
რათა მათ ზეცაზე ასვლა და იქიდან ჩამოსვლა
შეძლონ. დიდი მთავარანგელოზებიც
ჩვენ გვემსახურებიან,
რათა უფლის შეცნობა
და მისი შეყვარება შევძლოთ!

30^ს ექტემბერი

წმ. იერონიმე (მ)

2009

ოთხშაბათი

ნემ. 2, 1-8; ფს. 36; ლუკ. 9, 57-62

II ო

გამოგყვები, სადაც კი წახვალ.

(ლუკ. 9, 57)

იესო, მეც ვამბობ,
რომ მინდა შენ გამოგყვე.
მითხარი, სად მიდინარ
და შენთან ერთად წამოვალ.
როცა შენი გზა გართულდება,
სელში ამიყვან და ისე მატარებ.
უკვე საკმარისად ვიტანჯე
იმ გზებზე სიარულის გამო,
რომლებზეც თავად მსურდა მევლო.
ახლა მხოლოდ შენთან ყოფნა მინდა.